




2025-2029 წლების
მაკროეკონომიკური
პროგნოზები

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2025
ოქტომბერი

ეკონომიკური ზრდის ტემპი 2025 - 2029 წწ



წვლილი 2026 წლის ეკონომიკურ ზრდაში:

რეალური მოხმარება: +4.3% ↑

რეალური ინვესტიციები : +1.3% ↑

წმინდა ექსპორტი: -0.3% ↓

ანგარიშის შესახებ: პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მანდატის შესაბამისად, დამოუკიდებელი მაკროეკონომიკური პროგნოზები მიზნად ისახავს წარმოდგინოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროგნოზების ალტერნატიული საპროგნოზო მაჩვენებლები.

შენიშვნა: პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ წარმოდგენილი მაკროეკონომიკური პროგნოზები განახლდება საბიუჯეტო პროცესის და საბიუჯეტო ოფისის ანგარიშგების კალენდრის შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა:
pbo@parliament.ge

შინაარსი

ძირითადი მიგნებები	4
1. პროგნოზირების მოდელის შესახებ	6
საბაზისო სცენარი	7
2. რეალური სექტორი	7
3. ფისკალური სექტორი	12
4. საგარეო სექტორი	18
5. მონეტარული სექტორი	20
6. მაკროეკონომიკური სცენარები	22
6.1 ძირითადი დაშვებები	23
6.2 ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები	25
დანართი 1: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2024-2028 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)	29
დანართი 2: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2024-2028 წლებისთვის (ოპტიმისტური სცენარი)	32
დანართი 3: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2024-2028 წლებისთვის (პესიმისტური სცენარი)	35
დანართი 4: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2024-2025 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)	38
დანართი 5: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2026-2027 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)	39
დანართი 6: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2028 წლისთვის (საბაზისო სცენარი)	40
დანართი 7: ოპტიმისტური პროგნოზების შედარება, 2024-2028 წლებისთვის	41
დანართი 8: პესიმისტური პროგნოზების შედარება, 2024-2028 წლებისთვის	42

ძირითადი მიგნებები

- პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2026 წელს საქართველოს ეკონომიკა 5.3%-ით გაიზრდება. მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი 2026 წლისთვის (5.3%) 0.3 პროცენტული პუნქტით (პპ) აღემატება ეკონომიკური ზრდის მთავრობის პროგნოზს (5.0%). საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში (2025-2029 წლებისთვის) ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი 5.6%-ს შეადგენს;
- საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2026 წლისათვის ნომინალური მშპ 8.5%-ით გაიზრდება და 109,872 მლნ ლარს მიაღწევს;
- საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2026 წლისთვის ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალი იქნება და 2.5%-ს მიაღწევს. მთავრობის პროგნოზით კი, 2026 წელს ინფლაცია 3.0%-ს შეადგენს;
- საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, ეკონომიკური აქტივობის პარალელურად, კერძო ინვესტიციების მშპ-თან ფარდობა 2026 წლისათვის 20.0%-ს მიაღწევს, საშუალოვადიან პერიოდში ზრდადი ტენდენცია ექნება და 2029 წელს 20.1%-ს შეადგენს. მთავრობის პროგნოზის მიხედვით, 2026 წლისთვის კერძო ინვესტიციების მშპ-თან ფარდობის ზრდა 17.4%-მდე არის მოსალოდნელი, საშუალოვადიან პერიოდში გაიზრდება და 2029 წლისთვის 17.8%-ს გაუტოლდება;
- 2026 წლისთვის ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს (GFSM 2014) მშპ-თან მოსალოდნელი ფარდობა -2.1%-ს შეადგენს. ამასთან, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, ე.წ. მოდიფიცირებული მთლიანი სალდოს მაჩვენებელი (რომელიც ცალკეული მუხლების რეკლასიფიკაციით მიიღება და გამოიყენება IMF-ის პროგრამაში) 2026 წლისთვის -2.3%-ს გაუტოლდება;
- რაც შეეხება ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტს, 2026 წელს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელია -2.3%, რაც 0.2 პროცენტული პუნქტით განსხვავდება მთავრობის ანალოგიური მაჩვენებლისგან (-2.5%);
- საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2026 წლისთვის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 27,413 მლნ ლარს შეადგენს, რაც 413 მლნ ლარით მეტია საბიუჯეტო ოფისის მიერ 2025 წლის ივნისში გაკეთებულ 2026 წლის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელს, ხოლო 613 მლნ ლარით აღემატება მთავრობის პროგნოზს (26,800 მლნ ლარი). უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავება შეინიშნება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლებს შორის. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2026 წლისთვის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა მშპ-ის 25.0%-ს მიაღწევს, მთავრობის პროგნოზი 24.2%-ია. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის თანახმად, 2025-2029 წლებისთვის გადასახადების შეფარდება მშპ-თან საშუალოდ 25.2% იქნება;
- პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2026 წლისთვის საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის მოსალოდნელი დეფიციტი მშპ-ის 4.3%-ია, ხოლო მთავრობის საპროგნოზო მაჩვენებელი მშპ-ის 3.8%-ს შეადგენს. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მიმდინარე ანგარიშის ბალანსი 2025-2029 წლებში საშუალოდ მშპ-ის -4.0%-ის ფარგლებში ჩამოყალიბდება;
- საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, სავაჭრო დეფიციტი 2026 წელს მშპ-ს 7.6%-ს მიაღწევს, მთავრობის პროგნოზით დეფიციტი ასევე 7.3% იქნება;

- რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროებს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2026 წლისთვის წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადების მოსალოდნელი მოცულობა 1,394 მლნ აშშ დოლარს გაუტლდება და საშუალოვადიან პერიოდში უმნიშვნელოდ შემცირდება, ხოლო მთავრობის პროგნოზით, წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადები 2026 წელს 1,241 მლნ აშშ დოლარს შეადგენს;
- საბიუჯეტო ოფისის დაშვებით, 2026 წლისთვის ფულის მასა M3 აგრეგატის მოცულობა 66,279 მლნ ლარს გაუტლდება, ხოლო ზრდის წლიური ტემპი - 14.5%-ს. თავის მხრივ, ფულის მასა M2 აგრეგატის მოსალოდნელი მოცულობა 38,220 მლნ ლარია, ზრდა კი - 16.4%;
- საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2026 წლისათვის საერთაშორისო რეზერვების 8.8%-ით ზრდა არის მოსალოდნელი. შესაბამისად, 2026 წელს რეზერვების მოცულობა 5,612 მლნ აშშ დოლარს მიაღწევს (2.9 თვის იმპორტის ჯერადი), ხოლო 2029 წლისთვის საერთაშორისო რეზერვების მოსალოდნელი მოცულობა 6,636 მლნ აშშ დოლარი იქნება;
- რაც შეეხება კერძო სექტორზე გაცემულ სესხებს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2026 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 81,870 მლნ ლარს მიაღწევს, ხოლო მთავრობის პროგნოზით 82,973 მლნ ლარს;
- ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, 2024-2029 წლებში ეკონომიკის საშუალო რეალური ზრდის ტემპი 6.7% იქნება, ხოლო პესიმისტურის შემთხვევაში - 2.9%;
- ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ინფლაცია მუდმივად გადააჭარბებს საბაზისო სცენარს (საშუალოდ 3.4%), ხოლო პესიმისტური სცენარის შემთხვევაში მუდმივად ნაკლები იქნება საბაზისო სცენარზე (საშუალოდ 2.1%);
- ოპტიმისტური სცენარის მიხედვით მოსალოდნელია, რომ ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 2026 წელს შენარჩუნდება 3.0%-იან ნიშნულზე დაბლა. შემდგომში თანდათან შემცირდება და უკვე 2029 წლისათვის მისი მშპ-თან შეფარდება -1.8% იქნება. რაც შეეხება ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტს, 2026 წლისათვის -0.9%-ს გაუტლდება, ხოლო შემდეგ წლებში შემცირებას დაიწყებს და მუდმივად მშპ-ის 3.0%-ის ქვემოთ იქნება;
- მეორე მხრივ, პესიმისტური სცენარის განვითარების შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ როგორც მიმდინარე, ისე მომდევნო წლებში ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 3.0%-იან ნიშნულს არ გადააჭარბებს. იგივე ტენდენცია ექნება ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტსაც, იგი 2026 წელს -2.7% იქნება და შემდეგ წლებში მშპ-ის 3.0%-ზე არ გადააჭარბებს;
- აღსანიშნავია, რომ პესიმისტური სცენარის თანახმად, 2025-2029 წლებში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი საშუალოდ -2.8%-ის, ხოლო ოპტიმისტური სცენარის თანახმად -5.0%-ის ფარგლებშია. 2029 წლისთვის ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან შესაბამისად -4.5% და -2.2% იქნება.

1. პროგნოზირების მოდელის შესახებ

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ შემუშავებული მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელი (PBOMFM) თავსებადია საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ფინანსური პროგრამირებისა და პოლიტიკის მოდელის სტრუქტურასთან, რომელიც ეკონომიკური თეორიებიდან გამომდინარე, ერთმანეთთან აკავშირებს ოთხ ძირითად სექტორს:

- რეალური სექტორი;
- ფისკალური სექტორი¹;
- საგარეო სექტორი;
- მონეტარული სექტორი.

საბიუჯეტო ოფისის მაკროეკონომიკურ მოდელში აღნიშნულ სექტორებს შორის კავშირები წარმოდგენილია განტოლებების სახით, რომელიც იყოფა სამ ძირითად ჯგუფად:

1. სააღრიცხვო იგივეობა: მოიცავს ისეთ განტოლებებს, რომლებიც ასახავს სახელმწიფო ანგარიშსწორების იგივეობებს. მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტი უტოლდება მოხმარების, ინვესტიციების, სახელმწიფო დანახარჯებისა და წმინდა ექსპორტის ჯამს.

2. ეკონომეტრიკული განტოლებები: ასახავს კავშირებს ცვლადებს შორის, რომელიც ეყრდნობა ეკონომიკურ მოდელებს. მაგალითად, სამომხმარებლო ხარჯების განტოლება ეყრდნობა დაშვებას, რომ რეალურ მშპ-სა და სესხების რეალურ საბაზრო საპროცენტო განაკვეთს გავლენა აქვს სამომხმარებლო ხარჯების მოცულობაზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური განტოლებების შესადგენად გამოყენებულია ისეთი ეკონომიკური მოდელები, როგორებიცაა: ავტორეგრესიული მცოცავი საშუალოს მოდელი, ვექტორული ავტორეგრესია, შებლუდული ვექტორული შეცდომის შესწორების მოდელი, უმცირეს კვადრატთა მეთოდის შეცდომის შესწორების მოდელი, ბაიესიანური ვექტორული ავტორეგრესიის მოდელი. ამასთანავე, მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელში დაშვებები გაკეთებულია 51 მაკრო-ფისკალურ ცვლადზე, საიდანაც 16 ეგზოგენური დაშვებაა, 31 წარმოადგენს მაკრო-ეკონომეტრიკული მოდელებიდან მიღებულ შეფასებებს (25 - მოდელიდან მიღებული შედეგებია, ხოლო 6 - მათზე დაფუძნებული გაანგარიშებები) და 4 ცვლადის დაშვება გაკეთებულია ექსპერტული შეფასების საშუალებით.

3. ტექნიკური განტოლებები: მოიცავს კავშირებს ცვლადებს შორის, რომელიც ეყრდნობა ისტორიული მონაცემებიდან და სტილიზირებული ფაქტებიდან გაკეთებულ დაშვებებს. მაგალითად, მომსახურების ექსპორტის პროგნოზული მონაცემი ეყრდნობა დაშვებას, რომ მომსახურების ექსპორტის წილი მთლიანი ექსპორტის მოცულობაში უტოლდება ბოლო სამი წლის წილის საშუალოს.

მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელი ეყრდნობა 1996Q1-2025Q3 წლების კვარტალურ მონაცემებს. მონაცემთა ბაზა შედგენილია შემდეგი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი მონაცემებით:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - რეალური სექტორის ცვლადები;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფისკალური სექტორის ცვლადები;

საქართველოს ეროვნული ბანკი - საგარეო სექტორისა და მონეტარული სექტორის ცვლადები.

1. მოდელში ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი აღებულია მთავრობის საშუალოვადიანი პროგნოზებიდან, როგორც ეგზოგენური ცვლადი.

საბაზისო მოდელი

2. რეალური სექტორი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2026 წელს საქართველოს ეკონომიკა 5.3%-ით გაიზრდება. მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი 2026 წლისთვის (5.3%) 0.3 პროცენტული პუნქტით (პპ) აღემატება ეკონომიკური ზრდის მთავრობის პროგნოზს² (5.0%) და ემთხვევა საბიუჯეტო ოფისის მიერ 2025 წლის ივნისში გამოქვეყნებულ საპროგნოზო მაჩვენებელს³. 2020 წელს კოვიდ პანდემიის შედეგად დაფიქსირებული ეკონომიკური კლების შემდგომ (-6.3%), მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა როგორც 2021 წელს (10.6%), აგრეთვე 2022 (11.0%), 2023 (7.8%) და 2024 (9.4%) წლებში. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომისა, 2021 წელს დაწყებული ეკონომიკური ზრდის ტემპი 2022 წელსაც შენარჩუნდა როგორც საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებში, აგრეთვე გზავნილების, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, საფინანსო სექტორის, ტურიზმის სექტორის და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების მიმართულებით, ხოლო 2024 წელს წინა წელთან შედარებით ზოგიერთ მაჩვენებელთან მიმართებით დაფიქსირდა კლება (ფულადი გზავნილები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები).

საბიუჯეტო ოფისის აღნიშნული პროგნოზი ემყარება დაშვებას, რომ მიმდინარე წელს და სამუალოვადიან პერიოდში კვლავ შენარჩუნდება მაღალი ეკონომიკური ზრდის ტენდენციები, უფრო მეტად გაიზრდება ტურიზმის მაჩვენებლები, მნიშვნელოვან დონეზე შენარჩუნდება საგარეო ვაჭრობის და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები, აგრეთვე რეგიონში მიმდინარე კონფლიქტი საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს. აღსანიშნავია, რომ 2025 წლის პირველ რვა თვეში ქვეყანაში მაღალი ეკონომიკური აქტივობა დაფიქსირდა და გაიზარდა რეალური მშპ. გარდა აღნიშნულისა, დაშვებისას, ასევე, მხედველობაშია მიღებული როგორც ქვეყნის შიდა ეკონომიკური აქტივობა, ასევე - საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების⁴ ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებები და პროგნოზი⁵.

- მოსალოდნელია, რომ 2024 წელთან შედარებით, 2026 წლისათვის მნიშვნელოვნად გამოცოცხლდება ტურისტული სექტორი, გარდა ამისა, გაიზრდება როგორც მომსახურების ექსპორტი, ისე იმპორტი;
- კორონავირუსის პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვნად გაზრდილი ინფლაციის ზრდის ტემპის საპასუხოდ, ეროვნულმა ბანკმა 2022 წლის თებერვლიდან გაზარდა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, რომელმაც თებერვლის დასაწყისიდან 10.5%, ხოლო მარტის ბოლოდან 11.0% შეადგინა. 2022 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა, რის შემდგომაც აღნიშნულმა მაჩვენებელმა შემცირება დაიწყო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ინფლაციის მკვეთრი კლება დაფიქსირდა 2023 წლის მეორე კვარტალში,

2. მთავრობის პროგნოზი გულისხმობს საქართველოს პარლამენტში 2025 წლის 30 სექტემბერს წარდგენილ 2025-2029 წწ ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრულ საპროგნოზო მაჩვენებლებს.

3. www.pbo.parliament.ge


4. ევროკავშირი, რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩინეთი, უკრაინა და აშშ.

5. წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის „მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვა“ აპრილი, 2025“ (WEO April, 2025).

კერძოდ, 2023 წლის ივლისში წლიური ინფლაციის დონე 0.3%-ით განისაზღვრა, რაც, ძირითადად, მსოფლიო ბაზარზე ნავთობსა და სურსათზე ფასების კლებით იქნა გამოწვეული. 2023 წლის ივლისის თვეში სურსათის ფასების რეალური ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან მიმართებით 13.3%-ით შემცირდა⁶. შემცირებული სამომხმარებლო ფასების ინფლაციის პასუხად, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2023 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.5 პპ-ით, 2 აგვისტოს 0.25 პპ-ით, 13 სექტემბერს 0.25 პპ-ით, ხოლო 20 დეკემბერს 0.5 პპ-ით⁷ შეამცირა. ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა შეინარჩუნა ეროვნულმა ბანკმა 2024 წლის პირველ ნახევარშიც. კერძოდ, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიმდინარე წელს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ჯამში 1.5 პპ-ით 8%-მდე შეამცირა. ეროვნული ბანკის აღნიშნული პოლიტიკის საპასუხოდ, ინფლაციის მაჩვენებელმა მარტის თვიდან ზრდა დაიწყო. აღნიშნულის გათვალისწინებით, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2026 წელს ინფლაციის შედარებით მაღალი ზრდის ტემპი შენარჩუნდება, თუმცა მიზნობრივ მაჩვენებელს (3.0%) არ გადასცდება. აღნიშნული ტრენდის შენარჩუნება მოსალოდნელია საშუალოვადიან პერიოდშიც.

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში (2025-2029 წლებისთვის) ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი 5.6%-ს გაუტოლდება, რაც საბიუჯეტო ოფისის მიერ 2025 წლის ივნისის თვეში გაკეთებულ საპროგნოზო მაჩვენებელზე 0.8 პპ ნაკლებია (საშუალოდ 5.3%-იანი ზრდა 2025-2029 წლებში). 2026 წელს ეკონომიკური აქტივობის ზრდაში ყველაზე დიდ წვლილს რეალური მოხმარება და ინვესტიციები შეიტანს და რეალური მშპ-ს ზრდას შესაბამისად 4.3 პპ და 1.3 პპ-ით განაპირობებს.

რაც შეეხება მთავრობის საპროგნოზო მაჩვენებელს ანალოგიური პერიოდისათვის, 2025-2029 წლებში საშუალო ეკონომიკური ზრდის სამთავრობო პროგნოზი 5.4%-ს გაუტოლდება, რაც, უტოლდება 2025 წლის ივნისის ანალოგიური მაჩვენებლის პროგნოზს (5.4%-იანი ზრდა 2025-2029 წლებში). აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო ოფისის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი საშუალოვადიანი პერიოდისთვის ითვალისწინებს მთავრობის საშუალოვადიან პერიოდში არაფინანსური აქტივების (ე.წ. კაპიტალური ხარჯები) საპროგნოზო/დაგეგმილ ზრდას, რომლის ფაქტობრივმა დინამიკამ, შესაძლოა, შესაბამისი გავლენა მოახდინოს ოფისის საპროგნოზო მაჩვენებლების ფაქტობრივ რეალიზებაზე.




დიაგრამა 1: რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი.

6. წყარო: FAO Food Price Index | World Food Situation | Food and Agriculture Organization of the United Nations

7. <https://nbg.gov.ge/monetary-policy/committee-decisions>

საინტერესოა მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის დინამიკის კავშირი ეკონომიკურ აქტივობასთან, რომლის შესაფასებლადაც მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, რამდენად შეესაბამება მიმდინარე ეკონომიკური ზრდა იმ პოტენციალს, რომელიც ქვეყანას თავისი რესურსების ოპტიმალური ათვისებისა და გამოყენების პირობებში ექნებოდა. ყველაზე მართებულია, გაანგარიშდეს ე.წ. პოტენციური მშპ და შედარდეს ფაქტობრივ მდგომარეობას. აღნიშნული სხვაობა რეალურ და პოტენციურ მშპ-ის შორის იქნება ე.წ. მშპ-ის გაპი⁸


აღსანიშნავია, რომ 2020 წელს დაფიქსირებული მკვეთრი ეკონომიკური კლების ფონზე, ქვეყნის ეკონომიკა პოტენციურ დონეს ჩამორჩებოდა და, შესაბამისად, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის უარყოფითი გაპი ფიქსირდებოდა, თუმცა 2021 წლიდან დაწყებული მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდის კვალდაკვალ უარყოფითი გაპი დაიხურა და ქვეყნის ეკონომიკურმა ზრდამ მის პოტენციურ დონეს გადააჭარბა. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, დადებითი გაპია მოსალოდნელი 2024-2027 წლებშიც, თუმცა შემდგომ წლებში ქვეყნის ეკონომიკა თანდათან დაუახლოვდება პოტენციურ დონეს, ხოლო 2028-2029 წლებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს⁹.



დიაგრამა 2: რეალური მშპ-ის გაპი


შეეხება ნომინალურ მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით მისი მოცულობა 2026 წლისთვის 29,738 ლარს, ხოლო 2029 წლისათვის - 37,781 ლარს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი განსხვავდება მთავრობის პროგნოზისგან, რომელიც 2026 წელს 29,369 ლარს, ხოლო 2029 წლისთვის 37,435 ლარს შეადგენს. ერთ სულზე მშპ-ს ინდიკატორის განსხვავებული მაჩვენებლების ძირითადი გამომწვევი მშპ-ის და დეფლატორის განსხვავებული პროგნოზებია. კერძოდ, ოფისის პროგნოზით, მშპ-ის დეფლატორის მაჩვენებელი 2026 წელს 2.9%-ს შეადგენს, ხოლო მთავრობის პროგნოზით აღნიშნული მაჩვენებელი 3.0%-ს გაუტოლდება.

8. დამატებით, მშპ-ს გაპის შესახებ იხ. <http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/KP0215.pdf>
9. მშპ-ის პოტენციური დონე შეფასებულია „კალმანის ფილტრის“ გამოყენებით. პოტენციური დონის შეფასების მეთოდოლოგიისათვის იხილეთ საბიუჯეტო ოფისის კვლევითი პუბლიკაცია: "ფისკალური პოლიტიკის შეფასება საქართველოსათვის: მიმართულება, ციკლურობა, მანევრირების რესურსი".



დიაგრამა 3: მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ნომინალური ლარი. PBO


საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2026 წლისათვის ნომინალური მშპ 8.5%-ით გაიზრდება და 109,872 მლნ ლარს მიაღწევს. აღსანიშნავია, რომ საშუალოვადიან პერიოდში მთავრობის რეალური ეკონომიკური ზრდის ტემპის და ინფლაციის განსხვავებული პროგნოზების გათვალისწინებით, ნომინალური მშპ-ს მარჯვენებელი საბიუჯეტო ოფისის მარჯვენებლებისგან განსხვავდება.




დიაგრამა 4: ნომინალური მშპ, მლნ ლარი.

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ე.წ. „საორიენტაციო ტრაექტორიის“ გათვალისწინებით, 2026 წლისთვის ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალი იქნება და 2.5%-ს მიაღწევს. ოფისის მიერ 2025 წლის ივნისის თვეში გამოქვეყნებული წლიური ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი 2.4%-ს შეადგენდა. ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალი მაჩვენებელია, ასევე, მოსალოდნელი საშუალოვადიან პერიოდშიც.

მთავრობის პროგნოზით, 2026 წელს ინფლაცია 3.0%-ს შეადგენს, რაც ეროვნული ბანკის მიზნობრივ 3.0%-იან მაჩვენებელს გაუტოლდება, ხოლო 2027-2029 წლებში 3.0%-იან ნიშნულზე დაფიქსირდება. გასათვალისწინებელია, რომ როგორც მონეტარული პოლიტიკის, ასევე - საგარეო ფაქტორების განსხვავებულმა ცვლილებამ, შესაძლებელია, განაპირობოს განსხვავებები საპროგნოზო მაჩვენებლებისაგან.




დიაგრამა 5: სამომხმარებლო ფასების ინდექსები, პერიოდის საშუალო.



დიაგრამა 6: მშპ-ის დეფლატორი.

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, ეკონომიკური აქტივობის პარალელურად, კერძო ინვესტიციების მშპ-თან ფარდობა 2026 წლისათვის 20.0%-ს მიაღწევს, საშუალოვადიან პერიოდში ზრდადი ტენდენცია ექნება და 2029 წელს 20.1%-ს შეადგენს. რაც შეეხება კერძო დანაზოგებს, მისი მშპ-თან ფარდობა 2026 წლისთვის 26.2%-ის, ხოლო 2029 წლისთვის 35.6%-ის დონეზე დაფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ საშუალოვადიან პერიოდში მთლიანი დანაზოგები კვლავ არ იქნება საკმარისი მთლიანი ინვესტიციების დასაფინანსებლად, ამიტომ ინვესტიციები დანარჩენი მსოფლიოსგან მიღებული სესხებით დაფინანსდება (მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი ბალანსი). მთავრობის პროგნოზის მიხედვით, 2026 წლისთვის კერძო ინვესტიციების მშპ-თან ფარდობის ზრდა 17.1%-მდე არის მოსალოდნელი, საშუალოვადიან პერიოდში გაიზრდება და 2029 წლისთვის 17.6%-ს გაუტოლდება.



დიაგრამა 7: კერძო ინვესტიციები, მშპ-თან შეფარდება.


3. ფისკალური სექტორი

ფისკალური გარემოს ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ბიუჯეტის მთლიანი სალდოს მოცულობა როგორც საშუალოვადიან, ასევე - გრძელვადიან პერიოდში. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2026 წლისთვის ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს¹⁰ (GFSM 2014) მშპ-თან მოსალოდნელი ფარდობა -2.1%-ს შეადგენს (2025 წლის ივნისის პროგნოზით იგი -2.7% იყო).


ამასთან, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, ე.წ. მოდიფიცირებული მთლიანი სალდოს¹¹ მაჩვენებელი (რომელიც ცალკეული მუხლების რეკლასიფიკაციით მიიღება და გამოიყენება IMF-ის პროგრამაში) 2026 წლისთვის -2.3%-ს გაუტოლდება

10. ბიუჯეტის მთლიანი სალდო = ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობას გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება.

11. მოდიფიცირებული მთლიანი სალდო - ბიუჯეტის მთლიანი სალდოსა და ფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა.



დიაგრამა 8: ბიუჯეტის მთლიანი სალდო, მშპ-თან შეფარდება.



დიაგრამა 9: მოდიფიცირებული მთლიანი სალდო, მშპ-თან შეფარდება.

2026 წელს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის¹² მაჩვენებელი (-2.1%) 0.2 პპ-ით ნაკლებია მთავრობის ანალოგიურ მაჩვენებელზე (-2.3%), რაც, ძირითადად, გამოწვეულია იმით, რომ საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 413 მლნ ლარით მეტია მთავრობის მაჩვენებელზე. აღნიშნული განპირობებულია, როგორც არაპირდაპირი, ისე პირდაპირი გადასახადების განსხვავებული პროგნოზით. აღსანიშნავია, რომ როგორც საბიუჯეტო ოფისის, ისე მთავრობის პროგნოზით, 2026 წელს ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 3.0%-ზე მეტი არ იქნება და აღნიშნული ტრენდი შენარჩუნდება საშუალოვადიან პერიოდშიც.

12. ბიუჯეტის დეფიციტი = ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო.

რაც შეეხება ერთიანი ბიუჯეტის¹³ დეფიციტს, რომელზეც 2019 წლიდან ვრცელდება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ე.წ. ბიუჯეტის ბალანსის/დეფიციტის წესი, ის საშუალოვადიან პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის მსგავსად შემცირების ტენდენციას ავლენს. როგორც საბიუჯეტო ოფისის, ისე მთავრობის პროგნოზების მიხედვით, 2026 წელს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი არ აღემატება ფისკალური წესით განსაზღვრულ 3.0%-იან ლიმიტს. კერძოდ, 2026 წელს საბიუჯეტო ოფისის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელია -2.3%, რაც ემთხვევა მთავრობის ანალოგიურ მაჩვენებლის (-2.3%) და ნაკლებია საბიუჯეტო ოფისის მიერ 2025 წლის ივნისის თვეში გამოქვეყნებული პროგნოზისგან (-2.7%).

აქვე ხაზგასასმელია, რომ როგორც უკვე აღინიშნა, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილთან დაკავშირებით პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზების საბაზისო სცენარი ეყრდნობა მთავრობის მიერ წარმოდგენილ 2025-2029წწ ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრულ ფისკალურ გეგმას საშუალოვადიანი პერიოდისათვის.

ფისკალური სექტორის ანალიზის დროს, აგრეთვე მნიშვნელოვანია საშუალოვადიანი პერიოდისათვის შეფასდეს ფისკალური ინდიკატორები ეკონომიკური განვითარების ტენდენციებთან მიმართებით¹⁴, კერძოდ - დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის მიმართულება და კავშირი ეკონომიკურ ციკლთან¹⁵.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2025-2029 წლებში ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტს (ციკლურად შესწორებული პირველადი მთლიანი სალდო) და, შესაბამისად, დადებით ფისკალურ პოზიციას (გარდა 2028-2029 წლებისა, როდესაც მშპ-ს გაპი მცირედით უარყოფითია) ემთხვევა მშპ-ის დადებითი გაპი, რაც პროციკლური ფისკალური ექსპანსია¹⁶ და გულისხმობს იმას, რომ ქვეყნის რეალური მშპ მეტია მის პოტენციურ დონეზე, თუმცა სახელმწიფო ეკონომიკაში მეტ რესურსს დებს, ვიდრე იღებს (ფისკალური ექსპანსია), ანუ ეკონომიკური ზრდის დროს ხდება მისი სტიმულირება. 2028-2029 წლებში კი პირიქით, რეალური მშპ მის პოტენციურ დონეს ჩამორჩება, ანუ მშპ-ს უარყოფითი გაპია მოსალოდნელი დადებითი ფისკალური პოზიციის დროს, რაც ანტიციკლურ ექსპანსიაზე მიუთითებს.

13. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი არის ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების ერთიანი რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი.

14. კვლევა ეყრდნობა დაშვებას, რომ ხარჯვითი პოლიტიკა სრულად დისკრეციულია: გადაწყვეტილებები ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესახებ არ მიიღება ეკონომიკური ციკლების მიხედვით.


15. იხილეთ საბიუჯეტო ოფისის კვლევითი პუბლიკაცია: "ფისკალური პოლიტიკის შეფასება საქართველოსათვის: მიმართულება, ციკლურობა, მანევრირების რესურსი".

16. ანტიციკლური ფისკალური ექსპანსია - როდესაც ქვეყნის რეალური მშპ ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს, ხოლო ამ დროს სახელმწიფო ეკონომიკაში მეტ რესურსს დებს, ვიდრე იღებს (ფისკალური ექსპანსია), ანუ ეკონომიკის შენელების დროს ხდება მისი სტიმულირება.

პროციკლური ექსპანსია - როდესაც ქვეყნის რეალური მშპ მეტია მის პოტენციურ დონეზე, მაგრამ ამ დროს სახელმწიფო ეკონომიკაში მეტ რესურსს დებს, ვიდრე იღებს (ფისკალური ექსპანსია), ანუ ეკონომიკური ზრდის დროს ხდება მისი სტიმულირება.

ანტიციკლური კონსოლიდაცია - როდესაც ქვეყნის რეალური მშპ მეტია მის პოტენციურ დონეზე, ხოლო ამ დროს სახელმწიფო ეკონომიკაში ნაკლებ რესურსს დებს, ვიდრე იღებს (ფისკალური კონსოლიდაცია), ანუ ეკონომიკური ზრდის დროს ხდება დეფიციტის შემცირება.


პროციკლური კონსოლიდაცია - როდესაც ქვეყნის რეალური მშპ ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს, მაგრამ ამ დროს სახელმწიფო ეკონომიკაში ნაკლებ რესურსს დებს, ვიდრე იღებს (ფისკალური კონსოლიდაცია), ანუ ეკონომიკის შენელების დროს ხდება დეფიციტის შემცირება.



დიაგრამა 10: ფისკალური პოზიცია.


საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებით, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2026 წლისთვის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 26,933 მლნ ლარს შეადგენს, რაც 67 მლნ ლარით ნაკლებია საბიუჯეტო ოფისის მიერ 2025 წლის ივნისში გაკეთებულ 2026 წლის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელს, ხოლო 467 მლნ ლარით ჩამორჩება მთავრობის პროგნოზს (27,400 მლნ ლარი). უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავება შეინიშნება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლებს შორის[1] (იხ. დიაგრამა 11-12). საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2026 წლისთვის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა მშპ-ის 24.5%-ს მიაღწევს, მთავრობის პროგნოზი 25.3%-ია. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის თანახმად, 2025-2029 წლებისთვის გადასახადების შეფარდება მშპ-თან საშუალოდ 25.0% იქნება.

17. პირდაპირი გადასახადები, ასევე, მოიცავს სხვა გადასახადების საპროგნოზო შემოსავლებს.



დიაგრამა 11: 2026 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი, მლნ ლარი, (საბიუჯეტო ოფისი)

საგადასახადო შემოსავლების კომპონენტების დონეზე ანალიზისას აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2026 წელს პირდაპირი გადასახადების¹⁸ წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში 47.6%, შესაბამისად, არაპირდაპირი გადასახადების¹⁹ წილი 52.4% იქნება. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, საშუალოვადიან პერიოდში პირდაპირი გადასახადების წილი²⁰ მცირედით გაიზრდება, ხოლო შემცირდება არაპირდაპირი გადასახადების წილი. აღსანიშნავია, რომ მოცემული საშუალოვადიანი პროგნოზები ეყრდნობა არსებულ ფისკალურ პოლიტიკას და გათვალისწინებულია 2017-2021 წლებში განხორციელებული საგადასახადო და საპენსიო რეფორმები. ფისკალური პოლიტიკის შემდგომმა ცვლილებებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს განსხვავებები აღნიშნული პროგნოზებისაგან.




დიაგრამა 12: 2026 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი, მლნ ლარი, (მთავრობა)

რაც შეეხება მთავრობის საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურას, მოსალოდნელია, რომ პირდაპირი გადასახადების წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში 2026 წლისათვის 48.6% იქნება, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში გაიზრდება.


18. პირდაპირი გადასახადი - წესდება პირდაპირ ქონებაზე ან შემოსავალზე (საშემოსავლო გადასახადი, ქონების გადასახადი და სხვა).

19. არაპირდაპირი გადასახადი - გადასახადი (დღგ, აქციზი და სხვა), რომელიც დგინდება მიწოდებული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის შექენისას.

20. საბიუჯეტო ოფისის აღნიშნული პროგნოზი ეყრდნობა შემდეგ დაშვებებს: მოგების გადასახადის რეფორმის გავლენა გამოვლინდება მომდევნო წლებში, ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ გაიზრდება როგორც პირდაპირი გადასახადების ადმინისტრირება, ასევე ქონების გადასახადის პროგრესულობიდან გამომდინარე მისი წილიც საგადასახადო შემოსავლებში.



დიაგრამა 13: საგადასახადო შემოსავლები, მშპ-თან შეფარდება.




დიაგრამა 14: საგადასახადო შემოსავლები, მილიონი ლარი.

4. საგარეო სექტორი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2026 წლისთვის საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის მოსალოდნელი დეფიციტი მშპ-ის 4.3%-ია, რაც 0.1 პროცენტული პუნქტით განსხვავდება ოფისის 2025 წლის ივნისის პროგნოზისგან (4.2%), ხოლო მთავრობის საპროგნოზო მაჩვენებელი მშპ-ის 3.9%-ს (2025 წლის ივნისის პროგნოზით 3.9%) შეადგენს. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მიმდინარე ანგარიშის ბალანსი²¹ 2025-2029 წლებში საშუალოდ მშპ-ის - 4.0%-ის ფარგლებში ჩამოყალიბდება, მთავრობის პროგნოზის მიხედვით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2025-2029 წლებში, საშუალოდ 3.9%-ს შეადგენს.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მოსალოდნელი კლების მთავარ მამოძრავებელ ძალას შიდა დანაზოგების საპროგნოზო ზრდა წარმოადგენს.²¹ ამ მხრივ, აღსანიშნავია კერძო დანაზოგების ზრდა.




დიაგრამა 15: მიმდინარე ანგარიშის ბალანსი, მშპ-თან შეფარდება.

რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის კომპონენტებს:


- საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფორმირების მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი სავაჭრო ბალანსის მოსალოდნელი დინამიკაა. Covid-19 პანდემიის გავლენით შემცირებული ეკონომიკური აქტივობის შემდგომ, 2021 წლიდან საგარეო აქტივობა საგრძნობლად გამოცოცხლდა, რაც გაგრძელდა მომდევნო წლებშიც. აქედან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ საშუალოვადიან პერიოდში საგარეო ვაჭრობის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება და სავაჭრო ბალანსი თანდათან გაუმჯობესდება, 2026 წელს მოსალოდნელი მაღალი ეკონომიკური აქტივობის შესაბამისად, სადაც მოხმარება წარმოადგენს მთავარ კონტრიბუტორს, სავაჭრო დეფიციტი 7.5%-ს მიაღწევს. მთავრობის პროგნოზით დეფიციტი ასევე 7.3% იქნება.

21. მიმდინარე ანგარიშის ბალანსი შეგვიძლია განვიხილოთ როგორც მთლიანი ინვესტიციებისა და მთლიანი დანაზოგების სხვაობა - დეფიციტი ნიშნავს, რომ დანაზოგები არაა საკმარისი ინვესტიციების დასაფინანსებლად და ქვეყანა სესხს იღებს დანარჩენი მსოფლიოსგან.



დიაგრამა 16: სავაჭრო ბალანსი, მშპ-თან შეფარდება


რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროებს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2026 წლისთვის წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადების მოსალოდნელი მოცულობა 1,394 მლნ აშშ დოლარს გაუტლდება და საშუალოვადიან პერიოდში უმნიშვნელოდ შემცირდება, ხოლო მთავრობის პროგნოზით, წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადები 2026 წელს 1,383 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.




დიაგრამა 17: წმინდა კერძო და კაპიტალური ნაკადები, მლნ აშშ დოლარი

5. მონეტარული სექტორი

საბიუჯეტო ოფისის დაშვებით, 2026 წლისთვის ფულის მასა M3 აგრეგატის მოცულობა 66,279 მლნ ლარს გაუტლდება, ხოლო ზრდის წლიური ტემპი - 14.5%-ს. თავის მხრივ, ფულის მასა M2 აგრეგატს მოსალოდნელი მოცულობა 38,220 მლნ ლარია, ზრდა კი - 16.4%.




დიაგრამა 18: ფულის მასის M3 ზრდის ტემპი




დიაგრამა 19: ფულის მასის M2 ზრდის ტემპი

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2026 წლისათვის საერთაშორისო რეზერვების 8.8%-ით ზრდა არის მოსალოდნელი. შესაბამისად, 2026 წელს რეზერვების მოცულობა 5,612 მლნ აშშ დოლარს მიაღწევს (2.9 თვის იმპორტის ჯერადი²²), ხოლო 2029 წლისთვის საერთაშორისო რეზერვების მოსალოდნელი მოცულობა 6,636 მლნ აშშ დოლარი იქნება.



დიაგრამა 20: საერთაშორისო რეზერვები, მლნ აშშ დოლარი

რაც შეეხება კერძო სექტორზე გაცემულ სესხებს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2026 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 81,870 მლნ ლარს მიაღწევს, ხოლო მთავრობის პროგნოზით 82,973 მლნ ლარს აღნიშნული ტენდენცია ნარჩუნდება 2025-2029 წლებშიც.



დიაგრამა 21: კერძო სექტორზე გაცემული სესხები, ნაშთები, მლნ ლარი

22. რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯერადი - https://www.imf.org/external/np/pdr/debtres/#III_B

6. მაკროეკონომიკური სცენარები

მაკროეკონომიკური სცენარები წარმოადგენს ეკონომიკის საბაზისო, ყველაზე მეტად მოსალოდნელი სცენარიდან გაუთვალისწინებელი გადახრის შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკის შესაძლო განვითარების მოდელს.

საბაზისო მოდელი უშვებს, რომ საქართველოში 2026 წელს რუსეთ-უკრაინის ომს და რეგიონში არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებას ქვეყნის ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება. საგარეო ვაჭრობის სფეროში კვლავ მზარდი ტენდენცია არის მოსალოდნელი. გაიზრდება როგორც საქონლის, ისე მომსახურების ექსპორტი და, მათ შორის, გაუმჯობესდება ტურიზმის მაჩვენებლები.

შესაძლებელია განვიხილოთ მაკროეკონომიკური განვითარების ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები.


ოპტიმისტური სცენარი გულისხმობს დაშვებას, რომ საბაზისო სცენართან შედარებით, მოხდება ეკონომიკის უფრო სწრაფი ტემპით გამოცოცხლება და საგარეო დისბალანსის აღმოფხვრა. ამავე დაშვების მიხედვით, 2025 წელს საქართველოს ეკონომიკა სწრაფად განაგრძობს ზრდას და რუსეთ-უკრაინის ომის, აგრეთვე რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებების და მსოფლიოში მიმდინარე მოსალოდნელი ეკონომიკური შენელების მოსალოდნელი შედეგები ეკონომიკაზე ძლიერ უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს. ოპტიმისტური სცენარის მიხედვით, საქართველოში უფრო მეტად გამოცოცხლდება ტურისტული სექტორი და უფრო მეტად გაიზრდება საგარეო მოთხოვნა. საშუალოვადიან პერიოდში ოპტიმისტური სცენარი ქვეყანაში მუდმივად დადებით შოკს და მაღალ ეკონომიკურ ზრდას გულისხმობს.

პესიმისტური სცენარი გულისხმობს დაშვებას, რომ რუსეთ-უკრაინის ომს და რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკურ მოვლენებს გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური ზრდის მოსალოდნელი შენელების პარალელურად და, შესაბამისად, შესაძლო შედეგები აისახება საშუალოვადიანი პერიოდის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. პესიმისტური სცენარის მიხედვით, ასევე მოსალოდნელია 2021 წელს დაწყებული ტურისტული ნაკადების ზრდის ტემპის შენელება საბაზისო სცენართან შედარებით. ასევე, პესიმისტურ სცენარში მოიაზრება, რომ საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკის მაღალი ზრდა ძნელად მისაღწევი იქნება და შემცირებული ეკონომიკური აქტივობების ფონზე, ასევე წარმოების პოტენციალიც შემცირდება.

6.1 ძირითადი დაშვებები

საბიუჯეტო ოფისის მაკროეკონომიკური მოდელის (PBOMFM) სხვადასხვა სცენარი ეფუძნება შოკების რეალიზაციის პირობებში ორი ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორის: ინფლაციისა და რეალური მშპ-ის ცვლილებებს. დანარჩენი მაკროეკონომიკური ცვლადების საბაზისო სცენარიდან გადახრები განპირობებულია ინფლაციისა და მშპ-ის ზრდის შოკებით.

რეალური მშპ-ის ზრდის ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები წარმოადგენს ზემოთ აღწერილი დაშვებების შესაძლო რეალიზაციის შედეგად საბაზისო სცენარიდან გადახრას.




დიაგრამა 22: რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები).

მაკროეკონომიკური სცენარები ეფუძნება დაშვებას რომ, ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, მთლიანი საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში პერმანენტულად დადებითი შოკები რეალიზდება, ხოლო უარყოფითი სცენარის დროს, ყოველ წელს საბაზისო სცენართან შედარებით, მოსალოდნელია ეკონომიკური განვითარების უარყოფითი ტენდენციები.

ამ დაშვებების გათვალისწინებით, ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, 2025-2029 წლებში ეკონომიკის საშუალო რეალური ზრდის ტემპი 6.7% იქნება, ხოლო პესიმისტურის შემთხვევაში - 2.9%.

რაც შეეხება სამომხმარებლო ფასების ინფლაციას, მისი ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები ითვალისწინებს წლების განმავლობაში ინფლაციის ტენდენციებს ეკონომიკური ზრდისა და შენელებისას, აგრეთვე - ინფლაციის საპროგნოზო მოდელის შეფასების შეცდომას.

ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ინფლაცია მუდმივად გადააჭარბებს საბაზისო სცენარს (საშუალოდ 3.4%), ხოლო პესიმისტური სცენარის შემთხვევაში მუდმივად ნაკლები იქნება საბაზისო სცენარზე (საშუალოდ 2.1%).



დიაგრამა 23: ინფლაცია (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები)

რეალური მშპ-ისა და ინფლაციის ოპტიმისტური სცენარების კომბინაცია წარმოადგენს მთლიანი მოდელის ოპტიმისტური სცენარის საფუძველს, ხოლო პესიმისტური სცენარების კომბინაცია ეკონომიკური განვითარების პესიმისტური სცენარის ბაზისია.

მოდელი ეყრდნობა დაშვებას, რომ მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური შოკები, პირველ რიგში, სწორედ ამ ორ ინდიკატორზე მოახდენს გავლენას. თავის მხრივ, რეალური მშპ-ის ზრდა და ინფლაცია გავლენას ახდენს ერთმანეთზე.

საბაზისო სცენართან შედარებით, მაღალი ეკონომიკური ზრდა ნიშნავს საბაზისო სცენართან შედარებით გაზრდილ ერთობლივ მოთხოვნას და, შესაბამისად, გაზრდილ ფასებს, ხოლო ეკონომიკის ზრდის მუდმივი დაბალი ტემპი ერთობლივი მოთხოვნის და, შესაბამისად, ფასების კლებას განაპირობებს. თავის მხრივ, საბაზისო სცენართან შედარებით, მაღალი და სტაბილური ინფლაცია დანაზოგების სტიმულს ამცირებს და ხელს უწყობს მოხმარების სტიმულირებას, რაც ზრდის ერთობლივ მოთხოვნას და, შესაბამისად, გამოშვებას, ხოლო დაბალი ინფლაცია დაზოგვის სტიმულს ქმნის და საშუალოვადიან პერიოდში მოთხოვნას ამცირებს.


პესიმისტური და ოპტიმისტური სცენარები აგებულია იმ დაშვებით, რომ მთავრობის ხარჯვითი პოლიტიკა წარმართება ისე, როგორც მთავრობის მიერ წარმოდგენილ ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებშია ასახული. საბიუჯეტო ოფისის ოპტიმისტური სცენარი მოიცავს მთავრობის ოპტიმისტურ ხარჯვით პოლიტიკას, ხოლო პესიმისტურ სცენარში მთავრობის პესიმისტური სცენარით გათვალისწინებული ხარჯვითი პოლიტიკაა გათვალისწინებული²³.

23. საქართველოს პარლამენტში 2025 წლის 30 სექტემბერს წარდგენილ 2025-2029 წწ ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრულ საპროგნოზო მაჩვენებლებს.

6.2 ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები


რაც შეეხება ეკონომიკურ სცენარებს სექტორების მიხედვით:

მაღალი ეკონომიკური ზრდა და ფასების მაღალი დონე განაპირობებს იმას, რომ საბაზისო სცენართან შედარებით, იზრდება გადასახადების დასაბეგრი ბაზა და, შესაბამისად, ბიუჯეტში მობილიზებული გადასახადები, ხოლო უარყოფითი სცენარის განვითარების შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ გადასახადების მოცულობა საბაზისო პროგნოზთან შედარებით შემცირდება.



დიაგრამა 24: საგადასახადო შემოსავლები (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები)

ასევე აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო ოფისის სცენარების მიხედვით, განსხვავებულ საგადასახადო შემოსავლების პროგნოზთან ერთად, ხარჯებში გათვალისწინებულია მთავრობის მიერ წარმოდგენილი შესაბამის ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებში ასახული ხარჯების მოცულობები. ეს ყოველივე პირდაპირ აისახება ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის ცვლილებაზე, რომელიც განსხვავდება როგორც საბიუჯეტო ოფისის საბაზისო პროგნოზებისაგან, ისე მთავრობის ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარებისაგან (იხ. დანართები 6 და 7).




დიაგრამა 25: ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები)

ოპტიმისტური სცენარის მიხედვით მოსალოდნელია, რომ ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 2026 წელს შენარჩუნდება 3.0%-იან ნიშნულზე დაბლა. შემდგომში თანდათან შემცირდება და 2029 წლისათვის მისი მშპ-თან შეფარდება -1.8% იქნება. რაც შეეხება ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტს, 2026 წლისათვის -0.3%-ს გაუტოლდება, ხოლო შემდეგ წლებში შემცირებას დაიწყებს და მუდმივად მშპ-ის 3.0%-ის ქვემოთ იქნება.

მეორე მხრივ, პესიმისტური სცენარის განვითარების შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ როგორც მიმდინარე, ისე მომდევნო წლებში ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 3.0%-იან ნიშნულს არ გადააჭარბებს. იგივე ტენდენცია ექნება ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტსაც, იგი 2026 წელს -2.7% იქნება და შემდეგ წლებში მშპ-ის 3.0%-ზე არ გადააჭარბებს.

რაც შეეხება საგარეო სექტორს, ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, 2026 წელს მოსალოდნელია როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის ზრდა, თუმცა საშუალოვადიან პერიოდში მნიშვნელოვანი ეკონომიკური გამოცოცხლების ფონზე, უფრო სწრაფად აღდგება ტურისტული სექტორი. შედარებით გაზრდილი ეკონომიკური აქტივობის და გაზრდილი მოთხოვნის ფონზე, გაიზრდება მოხმარების კომპონენტი, რაც თავისთავად გაზრდის მოთხოვნას იმპორტზე. აღნიშნული კი შედარებით გაზრდის სავაჭრო ბალანსის დეფიციტს. ამავე დროს, მოსალოდნელია, რომ შეიცვლება საგადასახდელო ბალანსის სხვადასხვა კომპონენტიც, რაც აისახება როგორც მიმდინარე ანგარიშის, ასევე - კაპიტალის და ფინანსური ანგარიშის სტრუქტურაზე.


პესიმისტური სცენარის განვითარება და ეკონომიკური აქტივობის შემცირება უკავშირდება საგარეო ვაჭრობის შემცირებას და, აგრეთვე, საგადასახდელო ბალანსის განსხვავებულ სტრუქტურას.



დიაგრამა 26: მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები)

აღსანიშნავია, რომ პესიმისტური სცენარის თანახმად, 2025-2029 წლებში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი საშუალოდ -2.8%-ის, ხოლო ოპტიმისტური სცენარის თანახმად -5.3%-ის ფარგლებშია. 2029 წლისთვის ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან შესაბამისად -4.5% და -2.2% იქნება.


მონეტარული სექტორის აქტივობაც პირდაპირ დაკავშირებულია ეკონომიკური განვითარების ტენდენციებთან: მაღალი აქტივობის პირობებში მოსალოდნელია, რომ გაიზრდება მიმოქცევაში არსებული ფული, აგრეთვე, ეროვნული ბანკისა და სხვა დეპოზიტური კორპორაციების საშინაო და უცხოური აქტივები. თავის მხრივ, პესიმისტური სცენარის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების როგორც აქტივები, ასევე - პასივები საბაზისო სცენართან შედარებით დაიკლებს.



დიაგრამა 27: ფულის მასა M3 (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები)

ოპტიმისტური სცენარის პირობებში M3 ფულის მასის ოდენობა ყოველთვის აჭარბებს საბაზისო სცენარის შესაბამის მაჩვენებელს, ხოლო პესიმისტური სცენარის შემთხვევაში M3 აგრეგატის მოცულობა ნაკლებია საბაზისო სცენარის შესაბამის მაჩვენებელზე.

ეკონომიკაში არსებული ტენდენციების გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ შეიცვლება როგორც შიდა ეკონომიკური აქტივობების სტრუქტურა და მიმართულებები, ასევე - საგარეო სექტორის ტენდენციებიც. ამ ყოველივეს კომპლექსურად აღწერისთვის მნიშვნელოვანია, თუ როგორ შეიცვლება ქვეყნის მთლიანი დანაზოგები.



დიაგრამა 28: მთლიანი ეროვნული დანაზოგი, % მშპ-თან (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები)

ოპტიმისტური სცენარის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის შიდა (მთლიანი ეროვნული) დანაზოგები უფრო მეტად იზრდება საბაზისო სცენართან შედარებით, რაც ეკონომიკური ზრდით გამომწვეული მაღალი კერძო დანაზოგებით არის განპირობებული.

თავის მხრივ, პესიმისტური სცენარის შემთხვევაში, საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის დანაზოგების წილი მშპ-ში ნაკლებია საბაზისო სცენართან შედარებით. აღნიშნული როგორც მთავრობის, ასევე კერძო დანაზოგების წილის კლებითა არის გამომწვეული.

დანართი 1: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2025-2029 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)²⁴

	2022 ფაქტი	2023 ფაქტი	2024 ფაქტი	2025 PBO მოსალოდნელი	2026 PBO პროგნოზი	2027 PBO პროგნოზი	2028 PBO პროგნოზი	2029 PBO პროგნოზი
რეალური სექტორი	% -ული ზრდა							
რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი	11.0%	7.8%	9.4%	6.6%	5.3%	5.3%	5.4%	5.3%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	11.9%	2.5%	1.1%	3.1%	1.8%	2.5%	2.4%	2.3%
მშპ დეფლატორი	8.1%	2.9%	3.8%	3.4%	2.9%	3.0%	2.7%	2.8%
ნომინალური მშპ								
მილიონი ლარი	72,860	80,883	91,892	101,276	109,872	119,136	128,846	139,586
მილიონი აშშ დოლარი	24,989	30,779	33,774	36,742	39,710	43,358	46,764	50,822
მშპ ერთ სულ მოსახლეზე								
ლარი	19,626	21,769	24,872	27,412	29,738	32,246	34,874	37,781
დოლარი	6,731	8,284	9,141	9,957	10,755	11,739	12,663	13,760
	% მშპ-სთან							
აბსორბცია	109.7	108.6	107.6	110.2	108.8	107.7	106.3	103.1
მომხმარება	85.7	83.6	84.8	82.9	82.3	81.2	79.8	76.8
კერძო	79.4	76.9	78.1	76.0	75.3	74.2	72.8	69.8
სახელმწიფო	6.3	6.7	6.7	7.0	7.1	7.0	7.0	6.9
ინვესტიციები	24.1	25.0	22.8	27.2	26.5	26.5	26.6	26.3
კერძო	15.9	17.9	15.6	19.7	19.8	19.9	20.0	19.9
სახელმწიფო	8.2	7.1	7.2	7.5	6.7	6.5	6.5	6.5
მთლიანი ეროვნული დანაზოგი	19.6	19.8	18.8	20.4	21.1	22.1	23.8	26.8
სახელმწიფო	5.2	4.4	5.6	5.0	4.3	4.8	4.4	4.4
კერძო	14.4	15.4	13.2	15.5	16.8	17.3	19.4	22.4
ფისკალური სექტორი²⁵	მლნ ლარი							
შემოსავლები და გრანტები	19,378	22,124	25,722	27,784	29,795	32,714	34,871	37,726
საგადასახადო შემოსავლები	17,386	19,733	23,290	25,493	27,413	30,305	32,400	35,194
პირდაპირი გადასახადები	7,797	8,924	11,331	12,462	13,036	14,516	15,547	17,190
არაპირდაპირი გადასახადები	9,589	10,809	11,959	13,031	14,377	15,789	16,853	18,004

24. ხარჯების, არაფინანსური აქტივების და ნომინალური ვალის მთავრობის პროგნოზი გულისხმობს საქართველოს პარლამენტში 2025 წლის 30 სექტემბერს წარდგენილ 2025-2029 წწ ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრულ საპროგნოზო მაჩვენებლებს.

25. ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს გარდა ყველა ინდიკატორი წარმოადგენს ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებელს.

	2022 ფაქტი	2023 ფაქტი	2024 ფაქტი	2025 PBO მოსალოდნელი	2026 PBO პროგნოზი	2027 PBO პროგნოზი	2028 PBO პროგნოზი	2029 PBO პროგნოზი
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	21,584	24,447	28,357	30,666	32,728	35,091	37,894	40,957
მიმდინარე ხარჯები	15,616	17,914	20,692	23,037	25,378	27,291	29,494	31,909
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,968	6,533	7,665	7,629	7,350	7,800	8,400	9,048
საოპერაციო სალდო	3,762	4,211	5,030	5,038	4,717	5,723	5,677	6,117
მთლიანი სალდო	-1,771	-1,889	-2,076	-2,091	-2,333	-1,777	-2,423	-2,631
მთავრობის ვალი	28,538	31,482	33,169	35,512	37,943	40,495	43,279	46,248
საგარეო	21,392	22,876	23,121	23,953	24,740	25,539	26,470	27,491
საშინაო	7,146	8,606	10,048	11,559	13,203	14,956	16,809	18,757
მოდულიცირებული მთლიანი სალდო	-2,208	-1,977	-2,171	-2,446	-2,770	-2,356	-2,999	-3,163
ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო	-1,600	-1,782	-1,746	-2,045	-2,525	-2,126	-2,819	-2,983
	% მშპ-სთან							
შემოსავლები და გრანტები	26.6%	27.4%	28.0%	31.7%	31.0%	31.2%	30.8%	30.6%
საგადასახადო შემოსავლები	23.9%	24.4%	25.3%	25.2%	25.0%	25.4%	25.1%	25.2%
პირდაპირი გადასახადები	10.7%	11.0%	12.3%	12.3%	11.9%	12.2%	12.1%	12.3%
არაპირდაპირი გადასახადები	13.2%	13.4%	13.0%	12.9%	13.1%	13.3%	13.1%	12.9%
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	29.6%	30.2%	30.9%	34.2%	33.6%	33.2%	33.2%	33.0%
მიმდინარე ხარჯები	21.4%	22.1%	22.5%	26.2%	26.5%	26.4%	26.4%	26.4%
არაფინანსური აქტივების ზრდა	8.2%	8.1%	8.3%	8.0%	7.0%	6.9%	6.8%	6.6%
საოპერაციო სალდო	5.2%	5.2%	5.5%	5.0%	4.3%	4.8%	4.4%	5.0%
მთლიანი სალდო	-2.4%	-2.3%	-2.3%	-2.1%	-2.1%	-1.5%	-1.9%	-2.1%
მთავრობის ვალი	39.2%	38.9%	36.1%	35.1%	34.5%	34.0%	33.6%	33.1%
საგარეო	29.4%	28.3%	25.2%	23.7%	22.5%	21.4%	20.5%	19.7%
საშინაო	9.8%	10.6%	10.9%	11.4%	12.0%	12.6%	13.0%	13.4%
მოდულიცირებული მთლიანი სალდო	-3.0%	-2.4%	-2.4%	-1.9%	-2.2%	-1.7%	-2.1%	-2.0%
ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო	-2.2%	-2.2%	-1.9%	-2.0%	-2.3%	-1.8%	-2.2%	-2.1%

	2022 ფაქტი	2023 ფაქტი	2024 ფაქტი	2025 PBO მოსალოდნელი	2026 PBO პროგნოზი	2027 PBO პროგნოზი	2028 PBO პროგნოზი	2029 PBO პროგნოზი
მონეტარული სექტორი	% -ად მშპ-სთან, თუ სხვა რამ არ არის მითითებული							
წმინდა უცხოური აქტივები	4.0%	3.4%	0.4%	1.6%	1.7%	1.8%	1.9%	1.9%
წმინდა საშინაო აქტივები	47.5%	50.0%	53.4%	55.5%	58.6%	62.3%	67.4%	71.8%
ფართო ფული M3	51.6%	53.4%	53.8%	57.1%	60.3%	64.1%	69.3%	73.7%
ფართო ფული M2	27.2%	31.0%	30.2%	32.4%	34.8%	36.8%	39.1%	41.8%
საგარეო სექტორი	% -ად მშპ-სთან, თუ სხვა რამ არ არის მითითებული							
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	-4.4%	-5.6%	-4.4%	-4.2%	-4.3%	-4.4%	-3.6%	-3.4%
სავაჭრო ბალანსი	-9.7%	-8.6%	-7.7%	-7.2%	-8.8%	-7.5%	-6.3%	-6.8%
ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4,902	5,010	4,449	5,158	5,612.1	6,131.7	6,547.6	6,636.3
იმპორტის ჯერადი	3.8	3.4	2.8	2.8	2.9	2.9	2.9	2.8
წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადები (მლნ აშშ დოლარი)	1,712	1,269	443	1,155	1,394	1,416	1,542	1,556

დანართი 2: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2025-2029 წლებისთვის (ოპტიმისტური სცენარი)²⁶

	2022 ფაქტი	2023 ფაქტი	2024 ფაქტი	2025 PBO მოსალოდნელი	2026 PBO პროგნოზი	2027 PBO პროგნოზი	2028 PBO პროგნოზი	2029 PBO პროგნოზი
რეალური სექტორი	% -ული ზრდა							
რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი	11.0%	7.8%	9.4%	6.7%	6.9%	6.7%	6.6%	6.7%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	11.9%	2.5%	1.1%	3.1%	3.2%	3.0%	3.9%	3.6%
მშპ დეფლატორი	8.1%	2.9%	3.8%	3.5%	3.8%	3.6%	3.8%	3.6%
ნომინალური მშპ								
მილიონი ლარი	72,860	80,883	91,892	101,465	112,691	124,476	137,676	152,346
მილიონი აშშ დოლარი	24,989	30,779	33,774	36,810	40,729	45,301	49,968	55,468
მშპ ერთ სულ მოსახლეზე								
ლარი	19,626	21,769	24,872	27,463	30,502	33,691	37,264	41,235
დოლარი	6,731	8,284	9,141	9,974	11,032	12,266	13,531	15,019
	% მშპ-სთან							
აბსორბცია	109.7	108.6	107.6	110.4	109.2	109.6	108.2	105.2
მოსხმარება	85.7	83.6	84.8	83.2	82.0	81.2	79.0	75.5
კერძო	79.4	76.9	78.1	76.3	75.1	74.5	72.4	69.2
სახელმწიფო	6.3	6.7	6.7	6.9	6.9	6.7	6.6	6.4
ინვესტიციები	24.1	25.0	22.8	27.2	27.3	28.4	29.2	29.7
კერძო	15.9	17.9	15.6	19.6	20.5	21.6	22.4	22.9
სახელმწიფო	8.2	7.1	7.2	7.5	6.8	6.8	6.8	6.8
მთლიანი ეროვნული დანაზოგი	19.6	19.8	18.8	20.8	22.1	22.6	24.7	27.6
სახელმწიფო	5.2	4.4	5.6	3.0	2.6	2.4	2.2	2.4
კერძო	14.4	15.4	13.2	17.7	19.5	20.1	22.5	25.2
ფისკალური სექტორი	მლნ ლარი							
შემოსავლები და გრანტები	19,378	22,124	25,722	27,391	29,634	31,790	34,112	37,286
საგადასახადო შემოსავლები	17,386	19,733	23,290	24,834	26,978	29,105	31,366	34,496
პირდაპირი გადასახადები	7,797	8,924	11,331	11,866	12,470	13,159	14,514	16,394
არაპირდაპირი გადასახადები	9,589	10,809	11,959	12,968	14,509	15,946	16,852	18,102

26. ხარჯების, არაფინანსური აქტივების და ნომინალური ვალის მთავრობის პროგნოზი გულისხმობს საქართველოს პარლამენტში 2025 წლის 30 სექტემბერს წარდგენილ 2025-2029 წწ ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრულ საპროგნოზო მაჩვენებლებს.

	2022 ფაქტი	2023 ფაქტი	2024 ფაქტი	2025 PBO მოსალოდნელი	2026 PBO პროგნოზი	2027 PBO პროგნოზი	2028 PBO პროგნოზი	2029 PBO პროგნოზი
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	21,584	24,447	28,357	31,932	34,343	37,188	40,448	44,020
მიმდინარე ხარჯები	15,616	17,914	20,692	24,303	26,736	28,755	31,090	33,636
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,968	6,533	7,665	7,629	7,607	8,433	9,358	10,384
საოპერაციო სალდო	3,762	4,211	5,030	5,201	5,370	6,118	6,993	7,618
მთლიანი სალდო	-1,771	-1,889	-2,076	-1,928	-1,937	-2,015	-2,065	-2,466
მთავრობის ვალი	28,538	31,482	33,169	35,512	37,943	40,495	43,279	46,248
საგარეო	21,392	22,876	23,121	23,953	24,740	25,539	26,470	27,491
საშინაო	7,146	8,606	10,048	11,559	13,203	14,956	16,809	18,757
მოდინიცირებული მთლიანი სალდო	-2,208	-1,977	-2,171	-1,909	-1,967	-2,045	-2,045	-2,446
ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო	-1,601	-1,782	-1,599	-1,891	-2,351	-3,035	-3,786	-3,853
	% მშპ-სთან							
შემოსავლები და გრანტები	26.6%	27.4%	28.0%	27.0%	26.3%	25.5%	24.8%	24.5%
საგადასახადო შემოსავლები	23.9%	24.4%	25.3%	24.5%	23.9%	23.4%	22.8%	22.6%
პირდაპირი გადასახადები	10.7%	11.1%	12.3%	11.7%	11.1%	10.6%	10.5%	10.8%
არაპირდაპირი გადასახადები	13.2%	13.4%	13.0%	12.8%	12.9%	12.8%	12.2%	11.9%
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	29.6%	30.2%	30.9%	31.5%	30.5%	29.9%	29.4%	28.9%
მიმდინარე ხარჯები	21.4%	22.1%	22.5%	24.0%	23.7%	23.1%	22.6%	22.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა	8.2%	8.1%	8.3%	7.5%	6.8%	6.8%	6.8%	6.8%
საოპერაციო სალდო	5.2%	5.2%	5.5%	3.0%	2.6%	2.4%	2.2%	2.4%
მთლიანი სალდო	-2.4%	-2.3%	-2.3%	-1.9%	-1.7%	-1.6%	-1.5%	-1.6%
მთავრობის ვალი	39.2%	38.9%	36.1%	35.0%	33.7%	32.5%	31.4%	30.4%
საგარეო	29.4%	28.3%	25.2%	23.6%	22.0%	20.5%	19.2%	18.0%
საშინაო	9.8%	10.6%	10.9%	11.4%	11.7%	12.0%	12.2%	12.3%
მოდინიცირებული მთლიანი სალდო	-3.0%	-2.4%	-2.4%	-1.9%	-1.7%	-1.6%	-1.5%	-1.6%
ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო	-2.2%	-2.2%	-1.9%	-1.9%	-2.1%	-2.4%	-2.7%	-2.5%

	2022 ფაქტი	2023 ფაქტი	2024 ფაქტი	2025 PBO მოსალოდნელი	2026 PBO პროგნოზი	2027 PBO პროგნოზი	2028 PBO პროგნოზი	2029 PBO პროგნოზი
მონეტარული სექტორი	% -ად მშპ-სთან, თუ სხვა რამ არ არის მითითებული							
წმინდა უცხოური აქტივები	4.0%	3.4%	0.4%	1.0%	0.6%	0.3%	-0.1%	-0.1%
წმინდა საშინაო აქტივები	47.5%	50.0%	53.4%	58.6%	63.7%	68.8%	75.9%	80.3%
ფართო ფული M3	51.6%	53.4%	53.8%	59.5%	64.3%	69.2%	75.8%	80.2%
ფართო ფული M2	27.2%	31.0%	30.2%	34.3%	36.9%	40.1%	44.0%	46.4%
საგარეო სექტორი	% -ად მშპ-სთან, თუ სხვა რამ არ არის მითითებული							
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	-4.4%	-5.6%	-4.4%	-4.5%	-0.9%	1.4%	1.3%	1.5%
სავაჭრო ბალანსი	-9.7%	-9.0%	-11.0%	-8.1%	-4.6%	-2.3%	-2.1%	-1.9%
ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4,902	5,010	4,449	4,449	4,558	4,973	5,642	6,379
იმპორტის ჯერადი	3.8	3.4	2.8	2.8	2.7	2.7	2.7	2.8
წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადები (მლნ აშშ დოლარი)	1,712	1,269	1,036	671	1,255	1,259	1,529	1,365

დანართი 3: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2025-2029 წლებისთვის (პესიმისტური სცენარი)²⁷

	2022 ფაქტი	2023 ფაქტი	2024 ფაქტი	2025 PBO მოსალოდნელი	2026 PBO პროგნოზი	2027 PBO პროგნოზი	2028 PBO პროგნოზი	2029 PBO პროგნოზი
რეალური სექტორი	% -ული ზრდა							
რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი	11.0%	7.8%	9.4%	4.6%	2.3%	2.6%	2.6%	2.6%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	11.9%	2.5%	1.1%	2.9%	2.1%	1.7%	1.8%	1.9%
მშპ დეფლატორი	8.1%	2.9%	3.8%	3.1%	1.8%	1.9%	1.9%	1.9%
ნომინალური მშპ								
მილიონი ლარი	72,860	80,883	91,892	99,140	103,199	107,861	112,670	117,745
მილიონი აშშ დოლარი	24,989	30,779	33,774	35,966	37,298	39,255	40,892	42,870
მშპ ერთ სულ მოსახლეზე								
ლარი	19,626	21,769	24,872	26,834	27,932	29,194	30,496	31,869
დოლარი	6,731	8,284	9,141	9,745	10,100	10,629	11,072	11,606
	% მშპ-სთან							
აბსორბცია	109.7	108.6	107.6	107.6	104.8	100.2	100.4	100.8
მომხმარება	85.7	83.6	84.8	84.8	80.3	78.3	79.3	80.2
კერძო	79.4	76.9	78.1	78.1	73.2	70.8	71.6	72.1
სახელმწიფო	6.3	6.7	6.7	6.7	7.1	7.5	7.7	8.0
ინვესტიციები	24.1	25.0	22.8	22.8	24.5	21.9	21.1	20.6
კერძო	15.9	17.9	15.6	15.6	17.1	15.9	16.0	16.2
სახელმწიფო	8.2	7.1	7.2	7.2	7.4	6.0	5.2	4.4
მთლიანი ეროვნული დანაზოგი	19.6	19.8	18.8	18.8	22.2	25.2	24.1	23.7
სახელმწიფო	5.2	4.4	5.6	5.6	4.1	3.2	3.0	1.7
კერძო	14.4	15.4	13.2	13.2	18.1	22.0	21.1	21.9
ფისკალური სექტორი	მლნ ლარი							
შემოსავლები და გრანტები	19,378	22,124	25,722	27,114	28,689	30,539	31,449	32,967
საგადასახადო შემოსავლები	17,386	19,733	23,290	24,535	26,056	27,903	28,784	30,265
პირდაპირი გადასახადები	7,797	8,924	11,331	12,119	12,841	13,967	14,355	14,931
არაპირდაპირი გადასახადები	9,589	10,809	11,959	12,415	13,215	13,936	14,428	15,334

27. ხარჯების, არაფინანსური აქტივების და ნომინალური ვალის მთავრობის პროგნოზი გულისხმობს საქართველოს პარლამენტში 2025 წლის 30 სექტემბერს წარდგენილ 2025-2029 წწ ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრულ საპროგნოზო მაჩვენებლებს.

	2022 ფაქტი	2023 ფაქტი	2024 ფაქტი	2025 PBO მოსალოდნელი	2026 PBO პროგნოზი	2027 PBO პროგნოზი	2028 PBO პროგნოზი	2029 PBO პროგნოზი
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	21,584	24,447	28,357	30,336	31,539	32,864	34,472	36,176
მიმდინარე ხარჯები	15,616	17,914	20,692	23,035	25,376	27,289	29,492	31,907
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,968	6,533	7,665	7,301	6,163	5,575	4,980	4,269
საოპერაციო სალდო	3,762	4,211	5,030	3,399	2,233	1,872	908	68
მთლიანი სალდო	-1,771	-1,889	-2,076	-3,402	-3,630	-3,403	-3,772	-3,901
მთავრობის ვალი	28,538	31,482	33,169	35,512	37,943	40,495	43,279	46,248
საგარეო	21,392	22,876	23,121	23,953	24,740	25,539	26,470	27,491
საშინაო	7,146	8,606	10,048	11,559	13,203	14,956	16,809	18,757
მოდIFIცირებული მთლიანი სალდო	-2,208	-1,977	-2,171	-2,703	-2,580	-2,055	-2,702	-2,889
ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო	-1,601	-1,782	-1,599	-2,677	-2,825	-2,464	-2,828	-2,753
	% მშპ-სთან							
შემოსავლები და გრანტები	26.6%	27.4%	28.0%	27.3%	27.8%	28.3%	27.9%	28.0%
საგადასახადო შემოსავლები	23.9%	24.4%	25.3%	24.7%	25.2%	25.9%	25.5%	25.7%
პირდაპირი გადასახადები	10.7%	11.1%	12.3%	12.2%	12.4%	12.9%	12.7%	12.7%
არაპირდაპირი გადასახადები	13.2%	13.4%	13.0%	12.5%	12.8%	12.9%	12.8%	13.0%
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	29.6%	30.2%	30.9%	30.6%	30.6%	30.5%	30.6%	30.7%
მიმდინარე ხარჯები	21.4%	22.1%	22.5%	23.2%	24.6%	25.3%	26.2%	27.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა	8.2%	8.1%	8.3%	7.4%	6.0%	5.2%	4.4%	3.6%
საოპერაციო სალდო	5.2%	5.2%	5.5%	4.1%	3.2%	3.0%	1.7%	0.9%
მთლიანი სალდო	-2.4%	-2.3%	-2.3%	-2.7%	-2.5%	-1.9%	-2.4%	-2.5%
მთავრობის ვალი	39.2%	38.9%	36.1%	35.8%	36.8%	37.5%	38.4%	39.3%
საგარეო	29.4%	28.3%	25.2%	24.2%	24.0%	23.7%	23.5%	23.3%
საშინაო	9.8%	10.6%	10.9%	11.7%	12.8%	13.9%	14.9%	15.9%
მოდIFIცირებული მთლიანი სალდო	-3.0%	-2.4%	-2.4%	-2.7%	-2.5%	-1.9%	-2.4%	-2.5%
ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო	-2.2%	-2.2%	-1.9%	-2.7%	-2.7%	-2.3%	-2.9%	-2.3%

	2022 ფაქტი	2023 ფაქტი	2024 ფაქტი	2025 PBO მოსალოდნელი	2026 PBO პროგნოზი	2027 PBO პროგნოზი	2028 PBO პროგნოზი	2029 PBO პროგნოზი
მონეტარული სექტორი	% -ად მშპ-სთან, თუ სხვა რამ არ არის მითითებული							
წმინდა უცხოური აქტივები	4.0%	3.4%	0.4%	2.1%	3.1%	4.0%	4.7%	5.5%
წმინდა საშინაო აქტივები	47.5%	50.0%	53.4%	56.0%	59.3%	60.8%	63.9%	66.2%
ფართო ფული M3	51.6%	53.4%	53.8%	55.5%	58.3%	58.8%	60.5%	61.7%
ფართო ფული M2	27.2%	31.0%	30.2%	31.4%	32.1%	33.0%	34.3%	34.9%
საგარეო სექტორი	% -ად მშპ-სთან, თუ სხვა რამ არ არის მითითებული							
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	-4.4%	-5.6%	-4.4%	-4.7%	-3.1%	-3.3%	-3.0%	-2.5%
სავაჭრო ბალანსი	-9.7%	-8.6%	-7.7%	-8.4%	-4.8%	-0.2%	-0.4%	-0.8%
ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4,902	5,010	4,449	4,449	4,628	4,424	4,932	5,198
იმპორტის ჯერადი	3.8	3.4	2.8	2.8	2.9	2.9	3.0	3.0
წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადები (მლნ აშშ დოლარი)	1,712	1,269	443	1,061	1,114	953	658	567

დანართი 4: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2025-2026 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)

	2025 წელი				2026 წელი			
	ოქტომბერი 2025		ივნისი 2025		ოქტომბერი 2025		ივნისი 2025	
	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი
რეალური მშპ (%-ული ზრდა)	6.00%	6.60%	6.00%	6.30%	5.00%	5.30%	5.00%	5.30%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	3.50%	3.10%	3.20%	2.10%	3.2 %	2.50%	3.00%	2.40%
მშპ დეფლაციონი	3.90%	3.40%	3.00%	3.00%	4.00%	2.90%	3.00%	2.90%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	101,207	101,276	100,330	100,593	110,518	109,872	108,507	108,963
საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)	25,305	25,493	25,305	25,549	26,800	27,413	27,400	27,000
პირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	12,335	12,462	12,335	13,009	13,040	13,036	13,448	13,331
არაპირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	12,970	13,031	12,970	12,540	13,760	14,377	13,952	13,669
ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი საღდო (მლნ ლარი)	-2,571	-2,091	-2,494	-2,261	-2,520	-2,333	-2,545	-2,956
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-4.40%	-4.20%	-4.30%	-4.20%	-3.80%	-4.30%	-3.10%	-4.20%
სავაჭრო ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-7.60%	-7.20%	-7.50%	-6.60%	-7.30%	-8.80%	-7.30%	-7.40%
ექსპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	9.80%	12.60%	9.60%	14.70%	10.00%	8.60%	8.70%	9.70%
იმპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	9.10%	15.70%	9.20%	10.80%	9.10%	5.80%	8.10%	13.50%
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	5,183	4,449	4,849	4,750	6,317	5,612	5,285	5,550
ფულის მასა M3 (მლნ ლარი)	54,571	57,871	57,656	62,496	63,257	66,279	66,160	71,826
ფულის მასა M2 (მლნ ლარი)	30,879	32,831	32,668	36,148	35,959	38,220	37,676	41,719

დანართი 5: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2027-2028 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)

	2027 წელი				2028 წელი			
	ოქტომბერი 2025		ივნისი 2025		ივნისი 2025		ოქტომბერი 2025	
	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი
რეალური მშპ (%-ული ზრდა)	5.20%	5.30%	5.20%	5.20%	5.30%	5.40%	5.30%	5.40%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	3.00%	2.50%	3.00%	2.50%	3.00%	2.40%	3.00%	2.40%
მშპ დეფლატორი	3.00%	3.00%	3.00%	3.10%	3.00%	2.70%	3.00%	2.60%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	119,753	119,136	117,574	118,122	129,883	128,846	127,520	127,608
საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)	29,600	30,305	29,600	29,846	32,200	32,400	32,200	32,498
პირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	14,597	14,516	14,597	14,805	15,868	15,547	14,597	16,204
არაპირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	15,003	15,789	15,003	15,040	16,332	16,853	16,332	16,295
ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (მლნ ლარი)	-2,754	-1,777	-2,545	-2,442	-2,945	-2,423	-2,650	-2,523
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-3.70%	-4.40%	-3.80%	-4.60%	-3.60%	-3.60%	-3.70%	-3.30%
სავაჭრო ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-7.10%	-7.50%	-7.20%	-7.70%	-7.00%	-6.30%	-7.20%	-6.60%
ექსპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	8.80%	10.70%	8.80%	10.80%	8.90%	9.50%	8.90%	9.50%
იმპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	8.40%	8.50%	8.60%	8.70%	8.50%	6.80%	8.80%	7.30%
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	6,157	6,132	5,761	6,076	6,712	6,548	6,279	6,519
ფულის მასა M3 (მლნ ლარი)	72,912	76,369	76,257	80,606	84,227	89,289	88,092	93,759
ფულის მასა M2 (მლნ ლარი)	41,650	43,840	43,638	47,437	48,343	50,410	50,651	55,020

დანართი 6: ოპტიმისტური პროგნოზების შედარება, 2025-2029 წლებისთვის²⁸

	2025		2026		2027		2028		2029	
	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი
რეალური მშპ (%-ული ზრდა)	6.7%	6.7%	6.4%	6.9%	6.6%	6.7%	6.7%	6.6%	6.7%	6.7%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	4.1%	3.1%	4.2%	3.2%	4.0%	3.0%	4.0%	3.9%	4.0%	3.6%
მშპ დეფლატორი	4.4%	3.5%	5.0%	3.8%	4.0%	3.6%	4.0%	3.8%	4.0%	3.6%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	102,366	101,465	114,363	112,691	126,787	124,476	140,694	137,676	156,125	152,346
საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)	25,534	25,196	27,577	27,770	31,108	30,389	34,570	32,794	38,392	36,029
პირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	12,436	12,228	13,402	13,262	15,335	14,443	17,043	15,941	18,974	17,927
არაპირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	13,098	12,968	14,175	14,509	15,773	15,946	17,527	16,852	19,418	18,102
ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (მლნ ლარი)	-2,342	-3,679	-2,254	-3,616	-1,954	-3,814	-1,740	-1,065	-1,088	-1,305
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-4.6%	-5.1%	-4.5%	-5.2%	-4.9%	-5.8%	-5.3%	-4.5%	-5.7%	-4.5%
სავაჭრო ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-7.9%	-10.5%	-8.2%	-9.2%	-8.6%	-9.5%	-9.1%	-8.2%	-9.5%	-5.2%
ექსპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	11.1%	14.3%	12.7%	26.7%	11.4%	27.9%	11.5%	10.2%	11.5%	14.4%
იმპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	11.0%	17.6%	13.1%	21.6%	12.2%	26.2%	12.3%	8.2%	12.2%	9.6%
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	5,183	5,307	5,649	6,501	6,157	8,374	6,712	9,182	7,316	10,062
ფულის მასა M3 (მლნ ლარი)	55,701	60,404	67,278	72,442	80,806	86,083	97,266	104,358	117,081	122,204
ფულის მასა M2 (მლნ ლარი)	31,489	34,791	38,136	41,608	45,939	49,859	55,455	60,643	66,943	70,649

28. ცხრილში მოცემული მონაცემები წარმოადგენს 2025 წლის ოქტომბერში საბიუჯეტო ოფისის და მთავრობის მიერ გაკეთებული ოპტიმისტური სცენარების საპროგნოზო მაჩვენებლების შედარებას


დანართი 7: პესიმისტური პროგნოზების შედარება, 2025-2029

წლებისთვის²⁹

	2025		2026		2027		2028		2029	
	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი
რეალური მშპ (%-ული ზრდა)	4.6%	4.6	2.2%	2.3%	2.4%	2.6%	2.5%	2.6%	2.5%	2.6%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	3.1%	2.9%	2.0%	2.1%	2.0%	1.7%	2.0%	1.8%	2.0%	1.9%
მშპ დეფლატორი	3.4%	3.1%	3.0%	1.8%	2.0%	1.9%	2.0%	1.9%	2.0%	1.9%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	99,390	99,140	104,624	103,199	109,277	107,861	114,250	112,670	119,448	117,745
საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)	24,941	24,535	25,594	26,056	27,328	27,903	28,732	28,784	30,175	30,265
პირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	12,175	12,119	12,484	12,841	13,494	13,967	14,162	14,355	14,885	14,931
არაპირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	12,766	12,415	13,110	13,215	13,834	13,936	14,570	14,428	15,290	15,334
ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (მლნ ლარი)	-2,571	-2,722	-2,520	-2,550	-2,754	-2,025	-2,945.0	-2,722	-3,000	-2,909
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-4.2%	-3.1%	-3.1%	-3.3%	-2.5%	-3.0%	-1.9%	-2.5%	-1.1%	-2.2%
სავაჭრო ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-7.3%	-4.8%	-6.2%	-0.2%	-5.4%	-0.4%	-4.5%	-0.8%	-3.6%	-0.9%
ექსპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	7.6%	6.4%	5.5%	4.9%	4.3%	8.0%	4.4%	4.7%	4.4%	13.5%
იმპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	6.7%	6.7%	3.5%	4.2%	2.7%	2.4%	2.8%	4.7%	2.7%	3.5%
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	5,183	4,628	5,649	4,424	6,157	4,932	6,711	5,198	7,316	5,647
ფულის მასა M3 (მლნ ლარი)	52,627	55,058	56,676	60,206	60,692	63,458	65,142	68,218	69,920	72,618
ფულის მასა M2 (მლნ ლარი)	29,830	31,177	32,383	33,110	34,966	35,623	37,837	38,652	40,945	41,087

29. ცხრილში მოცემული მონაცემები წარმოადგენს 2025 წლის ოქტომბერში საბიუჯეტო ოფისის და მთავრობის მიერ გაკეთებული პესიმისტური სცენარების საპროგნოზო მაჩვენებლების შედარებას

დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში
შეგიძლიათ იხილოთ



ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)
შეგიძლიათ იხილოთ

